ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

დადგენილება №58

2014 წლის 26 ნოემბერი

ქ. ქუთაისი

„ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის მოსამსახურეთა თანამდებობრივი სარგოს ოდენობის განსაზღვრის შესახებ“ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 10 ოქტომბრის N45 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „დ.ე“ ქვეპუნქტის, „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის საფუძველზე ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულო **ა დ გ ე ნ ს :**

მუხლი 1

შეტანილ იქნეს ცვლილება „ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის მოსამსახურეთა თანამდებობრივი სარგოს ოდენობის განსაზღვრის შესახებ“ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 10 ოქტომბრის N45 დადგენილებაში /სსმ matsne@justice.gov.ge 16.07.2014. 190020020.35.123.016255/ კერძოდ, დადგენილების დანართის მე-8 პუნქტის გასწვრივ, მე-2 გრაფაში სიტყვები: „მერის თანაშემწე“ შეიცვალოს სიტყვით: „თანაშემწე“.

მუხლი 2

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

თავმჯდომარის მოადგილე **ზექა ყანჩელი**